

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	10
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. ძირითადი საშუალებები	28
4. არამატერიალური აქტივები.....	30
5. მარაგები	31
6. სავაჭრო მოთხოვნები	31
7. სხვა მოკლევადიანი აქტივები	34
8. სასესხო მოთხოვნები.....	34
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	34
10. საწესდებო კაპიტალი	35
11. ნასესხები სახსრები	35
12. სავაჭრო ვალდებულებები.....	37
13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	37
14. ანარიცხები	38
15. პირობითი ვალდებულებები.....	38
16. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	39
17. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	39
18. სასაწყობო, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო დანახარჯები	40
19. გაყიდვების და მარკეტინგის დანახარჯები	40
20. ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	40
21. საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი).....	41
22. ფინანსური დანახარჯები	41
23. ფინანსური რისკის მართვა	41
24. სამართლიანი ღირებულებები	47
25. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	48
26. დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	49

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის, დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის და მფლობელის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მფლობელი პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მფლობელს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 1 აპრილი

თბილისი, საქართველო

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	28,559	21,995
ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსები	3	–	1,953
არამატერიალური აქტივები	4	12,945	13,011
სხვა გრძელვადიანი აქტივები		64	60
სულ გრძელვადიანი აქტივები		41,568	37,019
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	19,472	21,507
სავაჭრო მოთხოვნები	6	60,165	63,671
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	7,156	5,405
სასესხო მოთხოვნები	8	–	15
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	2,227	4,275
სულ მოკლევადიანი აქტივები		89,020	94,873
სულ აქტივები		130,588	131,892
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1	1
კაპიტალის სხვა რეზერვები	10	685	577
გაუნაწილებელი მოგება		45,855	40,888
საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის		46,541	41,466
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		5,603	6,198
სულ საკუთარი კაპიტალი		52,144	47,664
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11	12,204	11,477
საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	13	2,752	4,126
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,956	15,603
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	45,297	40,819
სავაჭრო ვალდებულებები	12	9,680	16,766
ანარიცხები	14	1,889	2,895
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	6,622	8,145
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		63,488	68,625
სულ ვალდებულებები		78,444	84,228
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		130,588	131,892

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 1 აპრილს:

თამარ კოვზირიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

10-49 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათას ლარში)

		31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	28,559	21,995
ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსები	3	–	1,953
არამატერიალური აქტივები	4	12,945	13,011
სხვა გრძელვადიანი აქტივები		64	60
სულ გრძელვადიანი აქტივები		41,568	37,019
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	19,472	21,507
სავაჭრო მოთხოვნები	6	60,165	63,671
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	7,156	5,405
სასესხო მოთხოვნები	8	–	15
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	2,227	4,275
სულ მოკლევადიანი აქტივები		89,020	94,873
სულ აქტივები		130,588	131,892
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1	1
კაპიტალის სხვა რეზერვები	10	685	577
გაუნაწილებელი მოგება		45,855	40,888
საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის		46,541	41,466
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		5,603	6,198
სულ საკუთარი კაპიტალი		52,144	47,664
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11	12,204	11,477
საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	13	2,752	4,126
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,956	15,603
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	45,297	40,819
სავაჭრო ვალდებულებები	12	9,680	16,766
ანარიცხები	14	1,889	2,895
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	6,622	8,145
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		63,488	68,625
სულ ვალდებულებები		78,444	84,228
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		130,588	131,892

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 1 აპრილს:

თამარ კოვზირიძე
გენერალური დირექტორი



გიორგი ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

10-49 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	16	246,204	260,424
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	17	(183,812)	(189,495)
საერთო მოგება		62,392	70,929
სასაწყობო, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო			
დანახარჯები	18	(13,889)	(12,627)
გაყიდვების და მარკეტინგის დანახარჯები	19	(25,302)	(28,435)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	20	(18,189)	(16,117)
საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი)*	21	3,847	(1,832)
რეზერვის გაუქმება	14	1,251	–
სხვა საოპერაციო შემოსავალი		784	1,631
სხვა საოპერაციო ზარალი		(58)	(36)
საოპერაციო მოგება		10,836	13,513
ფინანსური შემოსავალი	8,9	141	191
ფინანსური დანახარჯები	22	(6,389)	(5,513)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა			
(ზარალი)/შემოსულობა		(216)	(1,157)
მოგება დაბეგრამდე		4,372	7,034
მოგების გადასახადის ხარჯი		–	(109)
წლის წმინდა მოგება		4,372	6,925
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,372	6,925
მიკუთვნებადი შემდეგი პირებისთვის:			
მშობელი საწარმოს მფლობელები		4,967	6,925
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		(595)	–
		4,372	6,925

* 2023 წელს 1,832 ლარის საკრედიტო ზარალის ხარჯი შევიდა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ათას ლარში)

	მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის				არამაკონ- ტროლე- ბელი წილის მფლობელი სთვის	სულ საკუთარი კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალის სხვა რეზერვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ		
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის						
მდგომარეობით	1	469	36,569	37,039	–	37,039
წლის წმინდა მოგება	–	–	6,925	6,925	–	6,925
წლის მთლიანი სრული						
შემოსავალი	1	469	43,494	43,964	–	43,964
დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	–	–	(2,606)	(2,606)	–	(2,606)
აქციებზე დაფუძნებული გადახდები (მე-10 შენიშვნა)	–	108	–	108	–	108
შვილობილი საწარმოს შესყიდვა კაპიტალში შენატანი	–	–	–	–	5,708	5,708
არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ	–	–	–	–	490	490
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	1	577	40,888	41,466	6,198	47,664
წლის მოგება/(ზარალი)	–	–	4,967	4,967	(595)	4,372
წლის მთლიანი სრული						
შემოსავალი	1	577	45,855	46,433	5,603	52,036
აქციებზე დაფუძნებული გადახდები (მე-10 შენიშვნა)	–	108	–	108	–	108
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	1	685	45,855	46,541	5,603	52,144

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		4,372	7,034
<i>კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	3, 4	6,660	4,436
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (შემოსულობა)/ზარალი		38	(29)
საკუთრო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)		216	1,157
დაზიანებული და ვადაგასული საქონლის ჩამოწერა	5	2,678	250
მარაგების წმინდა აღდგენა დაბრუნებული პროდუქტების სავარაუდო რაოდენობის მიხედვით		159	-
ფინანსური დანახარჯები	22	6,389	5,513
ფინანსური შემოსავალი	8,9	(141)	(191)
დარიცხული გამოუყენებელი შვებულებები		62	8
აქციებზე დაფუძნებული გადახდა		108	108
საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი)	21	(3,847)	1,832
რეზერვის გაუქმება	14	(1,251)	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		15,443	20,118
ცვლილება მარაგებში		(78)	(4,890)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში		4,095	(15,057)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(8,859)	9,001
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(4,842)	(10,946)
გადახდილი პროცენტი	11,13	(6,181)	(5,509)
მიღებული პროცენტი	8,9	110	232
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(109)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		4,530	3,786
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(9,185)	(6,421)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(15)	(1,000)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად		234	87
შვილობილი საწარმოს შესყიდვა		-	(5,941)
დაფარული სესხები		-	552
გაცემული სესხები		-	(1,545)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,966)	(14,268)
საფინანსო საქმიანობა			
აღებული სესხები	11	166,713	220,620
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(161,446)	(202,608)
გადახდილი დივიდენდები	10	-	(2,606)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილი	13	(2,361)	(1,615)
კაპიტალში შენატანი არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ		-	490
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,906	14,281
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(518)	(632)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(2,048)	3,167
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	9	4,275	1,108
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	2,227	4,275

10-49 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(ათას ლარში)

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები:

- 1) 2024 წელს ჯგუფმა დაისაკუთრა დეფოლტირებულ სესხთან დაკავშირებული უზრუნველყოფის საგანი, რომლის წმინდა საბალანსო ღირებულება დასაკუთრების მომენტისთვის იყო 1,730 ლარი და წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს (იხ. მე-8 შენიშვნა).
- 2) 2024 წელს ჯგუფმა სავაჭრო ვალდებულებები გაქვითა მოთხოვნებთან 2,520 ლარის ოდენობით (2023 წ.: ნული) (იხ. მე-14 შენიშვნა).
- 3) 2024 წელს ჯგუფმა მოახდინა 420 ლარის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება ძირითად საშუალებებში (2023 წ.: ნული).

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო ნომრით 204557121) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 17 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის: საქართველო, 0109, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჩანტლაძის ქ. I შეს. 10.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კოსმეტიკური, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური საშუალებების დისტრიბუცია და რეალიზაცია საბითუმო ვაჭრობის დამოუკიდებელი ქსელის მეშვეობით. კომპანია არის პროექტერ ენდ გემზლის (P&G) და ნესტლეს პროდუქტების ექსკლუზიური და ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. P&G-ის და ნესტლეს პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახდენს სხვა საკვები და სასმელი პროდუქტების, მათ შორის ადგილობრივი ბრენდების, დისტრიბუციას.

კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო და მისი 100%-იანი წილის მფლობელი არის ისრაელში მდებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დიპლომატ დისტრიბუტორს“ (1968) (შემდგომში „მშობელი საწარმო“). კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმო არის შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“).

2023 წლის ნოემბერში კომპანიამ შეიძინა 51%-იანი წილი შპს „Badagoni Story“-ში („შვილობილი საწარმო“). შვილობილი საწარმოს ძირითადი საქმიანობაა მარაგების ყიდვა შპს „ბადაგონისგან“ (49%-ის მფლობელი) და პირდაპირ კომპანიისთვის მიყიდვა. შპს „ბადაგონი“ არის 2006 წელს დაფუძნებული, საქართველოში მოქმედი, კომპანია, რომელიც აწარმოებს ღვინოს და სხვა ალკოჰოლურ სასმელს. 2023 წლის განმავლობაში შვილობილ საწარმოს არ განუხორციელებია საოპერაციო საქმიანობა, თუმცა მან შპს „ბადაგონისგან“ შეიძინა ლიცენზია, რითაც მოიპოვა საქართველოს ტერიტორიაზე შპს „ბადაგონის“ ბრენდების წარმოების, მიწოდების და გაყიდვის ექსკლუზიური უფლება (მე-4 შენიშვნა). შვილობილმა საწარმომ საქმიანობა 2024 წლის იანვარში დაიწყო. კომპანია და შვილობილი საწარმო ქვემოთ ერთად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.

2024 წლის ნოემბერში კომპანიამ, თავის ისრაელში რეგისტრირებულ დაკავშირებულ მხარესთან – შპს „Storenext Israel“-თან ერთად, საქართველოში დაარეგისტრირა ერთობლივი ბიზნესი. კომპანია ახლად დაარეგისტრირებულ შპს „Storenext Georgia“-ში ფლობს 49%-იან წილს, ხოლო შპს „Storenext Israel“ – 51%-იანი წილის მფლობელია. რეგისტრაციის თარიღიდან ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე, ერთობლივ ბიზნესს საქმიანობა არ დაუწყო. ჯგუფი შპს „Storenext Georgia“-ს აღრიცხავს, როგორც თავის მეკავშირე საწარმოს. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ნულს უდრის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელის მიერ. მფლობელს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამეა მითითებული.

ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

2.2 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ა) კონსოლიდაციის საფუძველი

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტირებული საწარმოსგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტირებულ საწარმოზე ზემოქმედებით. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ აქვს ინვესტირებულ საწარმოზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტირებულ საწარმოში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტირებულ საწარმოზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ა) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი საწარმოს აქციონერებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტროლებელი წილის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მისი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად ელიმინირდება.

არამაკონტროლებელი წილის განაწილება, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება წმინდა მოგებაზე განსხვავდება პროპორციული საკუთრების წილისგან

2023 წლის 01 დეკემბრით დათარიღებული სადამფუძნებლო შეთანხმების თანახმად, რომელიც ეხება შვილობილ საწარმოში უმრავლესობის წილის შეძენას, კომპანიამ მიიღეს მომავალი დივიდენდების სრულ ოდენობას მანამ, სანამ კუმულაციური დივიდენდის განაწილება არ მიაღწევს 2,400 აშშ დოლარს. ამ ზღვრის მიღწევის შემდეგ, არამაკონტროლებელ მხარეს უფლება ექნება, მიიღოს სული ოდენობის დივიდენდები მანამ, სანამ მისი კუმულაციური ჯამური ოდენობა არ მიაღწევს 1,960 აშშ დოლარს. შემდგომი დივიდენდების განაწილება მოხდება საკუთრების პროპორციულობის შესაბამისად.

ჯგუფი მხედველობაში იღებს ამ სახელშეკრულებო პირობებს, როდესაც ანაწილებს მოგებას ან ზარალს არამაკონტროლებელი წილის მფლობელებსა და ჯგუფის აქციონერებს შორის. თუმცა, კუმულაციური წმინდა ზარალის შემთხვევაში, აღნიშნული ზარალი ნაწილდება პროპორციულად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობდა კუმულაციური წმინდა ზარალი (2023 წლის 31 დეკემბერი: ნული).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ა) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

ისეთი აქტივის ან აქტივების ჯგუფის შეძენა, რომლებიც არ წარმოადგენენ საწარმოს

2023 წლის ნოემბერში ჯგუფმა შეიძინა 51%-იანი წილი შპს „Badagoni Story“-ში (1-ელი შენიშვნა) 5,941 ლარის ფულადი საზღაურის სანაცვლოდ. ვინაიდან შპს „Badagoni Story“ არ აკმაყოფილებდა საწარმოს განმარტებას შეძენის მომენტში, შეძენა არ წარმოადგენდა საწარმოთა გაერთიანებას და ბუღალტრულად აღირიცხა, როგორც აქტივის შეძენა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება გამოთვლილი იქნა და მათზე შესაბამისი თანხები განაწილდა. ნარჩენი გარიგების ფასი განაწილდა დარჩენილ ერთ არაფინანსურ აქტივზე, რომელიც არის 1-ელ შენიშვნაში აღწერილი ლიცენზია.

ჯგუფმა აქტივის შეძენასთან დაკავშირებული არამაკონტროლებელი წილი თავდაპირველად შეაფასა, როგორც თავისი პროპორციული წილი წმინდა აქტივების კონსოლიდირებული სააღრიცხვო ღირებულებებისა. ამის შედეგად, 2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელმა შპს „Badagoni Story“-ის კაპიტალში დამატებით 1,000 ლარი შეიტანეს თავიანთი საკუთრების წილის პროპორციულად.

ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე. ჯგუფი მომხმარებლისთვის მიცემული პირობის ხასიათის შეფასებით განსაზღვრავს, ამ გარიგებებში მარწმუნებელია თუ რწმუნებული. ჯგუფი არის მარწმუნებელი და ამონაგებს ბრუტოს საფუძველზე აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს მომხმარებლისთვის მის გადაცემამდე. ჯგუფმა დაასკვნა, რომ ამონაგებთან დაკავშირებულ გარიგებებში მარწმუნებლის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლისთვის გადაცემამდე. კრედიტის სტანდარტული ვადა საქონლის მიწოდებიდან 14-65 დღეა.

ამონაგების აღიარება მზა პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის ჯგუფი ამ საქონლის სანაცვლოდ. საქონლის გაყიდვის გარიგების ფასის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ცვალებადი ანაზღაურების ეფექტს, დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობას და მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის ოდენობას (როგორიცაა სავაჭრო ადგილის გადასახადი, მომხმარებლისთვის ჯგუფის საქონლის მაღაზიის თაროებზე გამოფენისთვის გადახდილი თანხა), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია ეს მომსახურება. ფიქსირებული ფასის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში, ამონაგების აღიარებისას მიეთითება, მთლიანი გასაწევი მომსახურების რა წილს შეადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურება, ვინაიდან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და იყენებს სარგებელს. ეს განისაზღვრება რესურსების მეთოდის საფუძველზე, რითაც ფასდება საწარმოს მიერ შესასრულებელი ვალდებულების პირობის სრულად დაკმაყოფილებისკენ გადადგმული ნაბიჯები. თუ ხელშეკრულება შეიცავს ერთზე მეტ შესასრულებელ ვალდებულებას, გარიგების ფასი თითოეულ კონსოლიდირებულ შესასრულებელ ვალდებულებაზე ნაწილდება ინდივიდუალური გასაყიდი ფასების მიხედვით.

ცვალებადი ანაზღაურება

როდესაც ხელშეკრულებით დაპირებული ანაზღაურება მოიცავს ცვალებად თანხას, ჯგუფი აფასებს ანაზღაურების იმ ოდენობას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს იგი დაპირებული საქონლის გადაცემის სანაცვლოდ ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ამონაგების მნიშვნელოვანი გაუქმება აღიარებული კუმულაციური ამონაგების ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. საქონლის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს ანიჭებს საქონლის დაბრუნების უფლებას და საბითუმო ფასდაკლებას. საქონლის დაბრუნების უფლება და საბითუმო ფასდაკლება წარმოშობს ცვალებად ანაზღაურებას.

დაბრუნების უფლება

გარკვეული ხელშეკრულებები მომხმარებელს უფლებას აძლევს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკან დააბრუნოს საქონელი. ჯგუფი მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვალებადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც ჯგუფი მიიღებს. ჯგუფის ვალდებულება, დაიბრუნოს ვადაგასული პროდუქტები, აღიარებულია ანარიცხების სახით. თანხის დაბრუნების ვალდებულების აღიარება ხდება იმ საქონლის შემთხვევაში, რომელთა დაბრუნება მოსალოდნელია (ანუ თანხა არ არის ასახული გარიგების ფასში). დაბრუნების უფლების მქონე აქტივის (და გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შესაბამისი კორექტირებების) აღიარება ასევე ხდება მომხმარებლისგან საქონლის ამოღების უფლების შემთხვევაშიც, რომელიც აისახება მარაგების თვითღირებულებაში (2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბერი: 773 ლარი და 436 ლარი, შესაბამისად).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

საბითუმო ფასდაკლება

ჯგუფი გარკვეულ მომხმარებლებს სთავაზობს რეტროსპექტიულ საბითუმო ფასდაკლებებს, როდესაც პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებაში მითითებულ ზღვარს. ფასდაკლების ოდენობა გამოიქვითება მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხებიდან. მოსალოდნელი სამომავლო ფასჩამოკლებების გამო ცვალებადი ანაზღაურების შესაფასებლად ჯგუფი იყენებს ყველაზე მეტად მოსალოდნელი ოდენობის მეთოდს რამდენიმე ზღვრული მოცულობის მქონე ხელშეკრულებებისთვის და მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს ერთი ზღვრული მოცულობის მქონე ხელშეკრულებებისთვის. იმ მეთოდის შერჩევა, რომელიც ყველაზე უკეთ მოახდენს ცვალებადი ანაზღაურების პროგნოზირებას, ძირითადად დამოკიდებულია ხელშეკრულებაში ზღვრული მოცულობების რაოდენობაზე. ჯგუფი შემდეგ ეყრდნობა ცვალებადი ანაზღაურების სავარაუდო შემზღუდველ ფაქტორებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და აღიარებს თანხის დაბრუნების ვალდებულებას მოსალოდნელი სამომავლო ფასდაკლებებისთვის (ანუ თანხა არ არის ასახული გარიგების ფასში).

დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი

ჯგუფის მოლოდინით, მას არ ექნება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც, დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის ვადა აღემატება ერთ წელს. ამის შედეგად, ჯგუფი არ აკორექტირებს გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

გ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

გ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც მიიჩნევა პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვის გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურებების შესყიდვით განპირობებული ბრუნვის გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვის გადასახადის აღიარება აქტივის შეძენის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვის გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი ბრუნვის გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა ვალდებულებების ან სხვა მოთხოვნების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. შესაბამისად, ჯგუფი ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

დ) უცხოური ვალუტები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და/ა დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ქვემოაღნიშნული კატეგორიების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

შენობები	5-35 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	2-6 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	3-7 წელი

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ვ) არამატერიალური აქტივები

საწყისი აღიარებისას არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველგვარი დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა და მოიცავს სავაჭრო ნიშანს, შესყიდვის ექსკლუზიურ უფლებას, ბრენდს და კაპიტალიზებულ კომპიუტერული პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

ამორტიზაცია ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ქვემოაღნიშნული კატეგორიების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები	3-10 წელი
სავაჭრო ნიშნები და შესყიდვის ექსკლუზიური უფლება	8 წელი
ბრენდი	10 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულებაში შედის შესყიდვის ფასი, იმპორტის გადასახადი და დაუბრუნებელი გადასახადები, ასევე ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის შეძენას. მარაგები აისახება გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა გასაყიდი ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

თ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

ჯგუფის გენერალური დირექტორი იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, ჯგუფის საბოლოო მშობელი საწარმოს – შპს „დიპლომატ ჰოლდინგის“ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების სახით. ანაზღაურებას გასცემს შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“.

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

დასაქმებულებთან წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით ოპერაციების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება ხდება ხელფასებში, გასამრჯელოებში და მათთან დაკავშირებულ ხარჯებში, კაპიტალის სხვა რეზერვების შესაბამის ზრდასთან ერთად, იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის დასაქმებულებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით, აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების მთლიანი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ჯგუფის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი ან კრედიტი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული კუმულაციური ხარჯების ცვლილების დინამიკას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტები);
- ▶ ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც ჯგუფი მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვიდან ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღით. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის სპეციფიკური საპროგნოზო ფაქტორების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები) ჯგუფმა გამოითვალა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 360 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული კრედიტის საგარანტიო საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

(კ) ფინანსური ვალდებულებები

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და ნასესხები სახსრების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და ნასესხები სახსრების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო ვალდებულებები და ნასესხები სახსრები.

(ლ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმების დროს ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ თუ ხელშეკრულება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ვადასა ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი ვადის განმავლობაში:

შენობა-ნაგებობები

1-3 წელი

სატრანსპორტო საშუალებები

1-5 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) იჯარა (გაგრძელება)

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი სადისტრიბუციო მანქანების და საწყობების მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის ოფციონს). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარას დაბალი ღირებულების მქონედ მიჩნეული სატრანსპორტო საშუალებების (სადისტრიბუციო მანქანების) იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

(მ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შემენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც საწარმო გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

ნ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მაქსიმუმ სამი თვის ვადის მოკლევადიან ანაზრებს, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი ანაზრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ო) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

პ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი გადააფასებს თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში. ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ჯგუფმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში – საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში

ცვლილებები ფასს 16-ში აზუსტებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც გამყიდველი მოიჯარე იყენებს საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში, რათა გამყიდველმა მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის რამე თანხა, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ აქტივის გამოყენების უფლებას. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

გარდა ამისა, საწარმოს მოეთხოვება ინფორმაციის წარდგენა მაშინ, როდესაც სასესხო ხელშეკრულებიდან წარმომდგარი ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება და საწარმოს უფლება, გადავადოს სესხის დაფარვა დამოკიდებულია თორმეტი თვის განმავლობაში სამომავლო პირობების შესრულებაზე.

ცვლილებების შედეგად მე-11 შენიშვნას დაემატა ინფორმაცია, მაგრამ მათ გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე. ჯგუფი ასეთი გარიგებების მხარე არ ყოფილა 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალი“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

ჯგუფი ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფი არ მოელის, რომ ექნება უფლება აირჩიოს ფასს 19-ის გამოყენება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საჭიროებს სათანადო მეთოდოლოგიის, მოდელის და ამოსავალი მონაცემების შერჩევას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული მე-6 და 23-ე შენიშვნებში. ჯგუფი რეგულარულად ახდენს მოდელის და მათი ამოსავალი მონაცემების გადახედვას და დამტკიცებას, რათა შეამციროს სხვაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზსა და ფაქტობრივად განცდილ საკრედიტო ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დასაბუთებულ საპროგნოზო ინფორმაციას, ძირითადად, თავისი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგს. ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დონესთან და მათთვის მინიჭებულ წონებთან, არის სავალუტო კურსები და სამომხმარებლო ფასების ინდექსები.

სავაჭრო ნიშნისა და შესყიდვის ექსკლუზიური უფლების სასარგებლო მომსახურების ვადა

ჯგუფმა დაადგინა, რომ თავისი არამატერიალური აქტივის – სავაჭრო ნიშნისა და ექსკლუზიური შესყიდვის უფლების – სასარგებლო მომსახურების ვადა, რომელიც 2023 წლის ბოლოს შეიძინა, შეზღუდულია და განისაზღვრა 8 წლით. ჯგუფის შეფასებით, განისაზღვრა, რომ „ბადაგონის“ ბრენდი ერთ-ერთ ყველაზე ცნობადი ბრენდია საქართველოში, აქვს მნიშვნელოვანი ისტორია და მნიშვნელოვანი საბაზრო წილი. ამ შეფასების საფუძველზე ჯგუფმა გადაწყვიტა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა 8 წლით.

საქონლის დაბრუნების შემთხვევაში ცვალებადი ანაზღაურების შეფასება

ჯგუფი აფასებს ცვალებად ანაზღაურებას, რომელიც აისახება უკან დაბრუნების უფლებით და საბითუმო ფასდაკლების პირობით საქონლის გაყიდვის გარიგების ფასში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ჯგუფმა შეიმუშავა სტატისტიკური მოდელი გაყიდული საქონლის დაბრუნების პროგნოზირებისთვის. მოდელი საქონლის დაბრუნების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მოსალოდნელი დაბრუნებების პროცენტულობას. ეს პროცენტები შემდეგ გამოიყენება მოსალოდნელი ცვალებადი ანაზღაურების ოდენობის დასადგენად. თუ ამჟამინდელი გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება საქონლის დაბრუნების ისტორიული მაჩვენებლებისგან, ეს გავლენას მოახდენს ჯგუფის მიერ პროგნოზირებულ დაბრუნების პროცენტულ მაჩვენებლებზე.

ჯგუფი მოსალოდნელი დაბრუნებების და საბითუმო ფასდაკლებების შეფასებას განაახლებს კვარტალურად და შესაბამისად აკორექტირებს დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. მოსალოდნელი დაბრუნებების შეფასება მგრძნობიარეა გარემოებების ცვლილებისადმი და ჯგუფის წარსული გამოცდილება შეიძლება არ ასახავდეს მომავალში მომხმარებლების ფაქტობრივ დაბრუნებებს და მათთვის შეთავაზებულ ფასდაკლებებს. გაყიდული საქონლის დაბრუნებისთვის შექმნილი ანარიცხები წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში.

მარაგების წმინდა გასაყიდი ღირებულება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

„ჩერის“ ბრენდის და ოფციონის შეფასება

2025 წელს ჯგუფმა დაისაკუთრა ბრენდი, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო არადაკავშირებული მხარისთვის (მსესხებელი) გაცემული სესხი (მე-4 და მე-8 შენიშვნები). ბრენდი აღრიცხული იყო თვითღირებულებით, რომელიც შეესაბამება სესხის საბალანსო ღირებულებას დასაკუთრების თარიღისთვის.

დასაკუთრების პროცესის დასაჩქარებლად ჯგუფმა მიაღწია შეთანხმებას მსესხებლის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან (ოფციონის მფლობელი) ოფციონთან დაკავშირებით, რომელიც ოფციონის მფლობელს ანიჭებს უფლებას შეისყიდოს ბრენდი სამი წლის შემდეგ. შესყიდვის ფასი განისაზღვრა 785 ათას აშშ დოლარს (დაახლოებით 2,203 ლარი) და ოფციონის აღსრულების დღეს ბრენდის სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესით.

ჯგუფის შეფასებით, ოფციონს არ აქვს კომერციული ღირებულება, ვინაიდან ოფციონის მფლობელს პრაქტიკულად არ შეუძლია ოფციონის აღსრულება. გარდა ამისა, ოფციონის აღსრულების ფასი აღემატება ბრენდის საბალანსო ღირებულებას.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურ- ვილობა და ინვენტარი	სატრან- სპორტო საშუალებები	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
თვითღირებულება					
2023 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	13,030	11,214	7,573	9,589	41,406
შემოსვლები	2,870	1,153	445	5,926	10,394
გასვლები	–	(174)	(95)	(1,237)	(1,506)
2023 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	15,900	12,193	7,923	14,278	50,294
შემოსვლები	9,697	935	500	1,464	12,596
გასვლები	–	(1,482)	(990)	(6,979)	(9,451)
2024 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	25,597	11,646	7,433	8,763	53,439
დაგროვილი ცვეთა					
2023 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	(5,166)	(9,132)	(4,502)	(5,965)	(24,765)
ცვეთის ხარჯი	(402)	(1,003)	(711)	(2,089)	(4,205)
გასვლები	–	133	77	461	671
2023 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	(5,568)	(10,002)	(5,136)	(7,593)	(28,299)
ცვეთის ხარჯი	(496)	(1,173)	(653)	(2,527)	(4,849)
გასვლები	–	1,457	744	6,067	8,268
2024 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	(6,064)	(9,718)	(5,045)	(4,053)	(24,880)
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	10,332	2,191	2,787	6,685	21,995
2024 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	19,533	1,928	2,388	4,710	28,559

სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 13,450 ლარი (2023 წ.: 12,694 ლარი).

ჯგუფმა დაიწყო თავისი სასაწყობო მეურნეობის მთავარი ობიექტის გაფართოება 2023 წლის ნოემბერში. პროექტი დასრულდა 2024 წლის ნოემბერში, თუმცა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ახალი აქტივის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 10,500 ლარი (2023 წ.: ნული).

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციის თანხა 420 ლარი იყო (2023 წ.: ნული). განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული იმ დანახარჯების ოდენობის დასადგენად, რომლებიც კაპიტალიზაციისთვის იყო განკუთვნილი, 10.75% იყო, რაც კონკრეტული ნასესხები სახსრების წლიური საპროცენტო განაკვეთია.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს იჯარით აღებულ სატრანსპორტო საშუალებებს და შენობებს.

	აქტივის გამოყენების უფლება – შენობები	აქტივის გამოყენების უფლება – სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება			
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	734	8,855	9,589
შემოსვლები	695	5,231	5,926
გასვლები	–	(1,237)	(1,237)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,429	12,849	14,278
შემოსვლები	–	1,464	1,464
გასვლები	(762)	(6,217)	(6,979)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	667	8,096	8,763
დაგროვილი ცვეთა			
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(504)	(5,461)	(5,965)
ცვეთის ხარჯი	(230)	(1,859)	(2,089)
გასვლები	–	461	461
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(734)	(6,859)	(7,593)
ცვეთის ხარჯი	(230)	(2,297)	(2,527)
გასვლები	756	5,311	6,067
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(208)	(3,845)	(4,053)
საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	695	5,990	6,685
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	459	4,251	4,710

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული ცვეთის ოდენობა:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ასახული სასაწყობო, ლოგისტიკურ და სადისტრიბუციო დანახარჯებში (მე-18 შენიშვნა)	2,366	1,941
ასახული გაყიდვის და მარკეტინგის დანახარჯებში (მე-19 შენიშვნა)	2,088	1,872
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-20 შენიშვნა)	395	392
სულ ცვეთის ხარჯი	4,849	4,205

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი ლიცენზიები	ბრენდები	სავაჭრო ნიშანი და შესყიდვის ექსკლუზიური უფლება	სხვა	სულ
თვითღირებულება					
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,250	–	–	82	3,332
შემოსვლები	–	–	12,649	–	12,649
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,250	–	12,649	82	15,981
შემოსვლები	15	1,730	–	–	1,745
გასვლები	(953)	–	–	–	(953)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,312	1,730	12,649	82	16,773
დაგროვილი ამორტიზაცია					
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(2,657)	–	–	(82)	(2,739)
ამორტიზაციის ხარჯი	(231)	–	–	–	(231)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,888)	–	–	(82)	(2,970)
ამორტიზაციის ხარჯი	(230)	–	(1,581)	–	(1,811)
გასვლები	953	–	–	–	953
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,165)	–	(1,581)	(82)	(3,828)
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	362	–	12,649	–	13,011
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	147	1,730	11,068	–	12,945

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

2023 წელს შეძენილი სავაჭრო ნიშანი და შესყიდვის ექსკლუზიური უფლება უკავშირდება ჯგუფის მიერ შპს „ბადაგონისგან“ შეძენილ ლიცენზიას საქართველოს ტერიტორიაზე შპს „ბადაგონის“ ბრენდების წარმოების, მიწოდებისა და გაყიდვის ექსკლუზიური უფლებისთვის (1-ელი შენიშვნა).

2023 წელს ჯგუფმა სესხი გასცა ერთ არადაკავშირებულ მხარეზე სახელწოდებით „ჩერი“. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხი სრულად იყო დარეზერვებული რადგან „ჩერიმ“ ვერ შეძლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვა. სესხი უზრუნველყოფილი იყო „ჩერის“ ყავის ბრენდის პორტფელით. 2024 წელს „ჩერიმ“ განაცხადა, რომ ვერ დაფარავდა ძირითად თანხას, რის შედეგადაც ჯგუფმა დაიწყო „ჩერის“ ბრენდის თავის სახელზე რეგისტრაციის პროცესი. 2024 წლის დეკემბერში ჯგუფმა „ჩერის“ ბრენდი დაარეგისტრირა და დაიწყო ქვეყნის მასშტაბით დისტრიბუციისთვის წარმოება (მე-8 შენიშვნა). „ჩერის“ ბრენდის ცვეთა მოხდება 10-წლიანი ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია შესულია სასაწყობო და დისტრიბუციის, გაყიდვების და მარკეტინგის და ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-18, მე-19 და მე-20 შენიშვნები).

5. მარაგები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გასაყიდად გამიზნული მარაგები	18,482	20,337
მარაგები გზაში	990	1,170
მარაგები, სულ	19,472	21,507

მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია ხარჯად და ასახულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, 183,063 ლარს გაუტოლდა (2022 წ.: 188,374 ლარი).

2024 წლის განმავლობაში მარაგების ჩამოწერამ, რომელიც უკავშირდებოდა ვადაგასულ საქონელს, 2,678 ლარი შეადგინა (2023 წ.: 250 ლარი). 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში მარაგების ჩამოფასება მათი წმინდა გასაყიდი ღირებულებით შეფასების შედეგად არ იყო არსებითი.

6. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო მოთხოვნები	60,761	65,909
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(596)	(2,238)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	60,165	63,671

სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა და, როგორც წესი, 14-დან 65 დღემდე დაფარვის პირობით.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

6. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილების დინამიკა:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,236
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-20 შენიშვნა)	2
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,238
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-20 შენიშვნა)	163
ჩამოწერები	(1,805)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	596

2024 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო მოთხოვნებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის დონე	საკრედიტო ზარალის რეზერვი
სავაჭრო მოთხოვნები			
ა) სავაჭრო მოთხოვნების დაზღვეული ნაშთები	47,047	0.00%	–
ბ) სავაჭრო მოთხოვნების დაუზღვეველი ნაშთები			
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების მიმდინარე ნაშთები	6,089	1.00%	61
მსხვილი მომხმარებლები და დიდი ქსელები 30- ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	1,846	1.00%	18
მსხვილი მომხმარებლები 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	358	100.00%	358
სხვა მომხმარებლები			
- მიმდინარე	4,682	0.30%	14
- 30 დღემდე ვადაგადაცილებული	325	2.33%	8
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	111	9.40%	10
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	81	15.62%	13
- 90-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	24	21.27%	5
- 120 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	198	55.01%	109
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები, სულ (საბალანსო ღირებულება)	60,761		596

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

6. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის დონე	საკრედიტო ზარალის რეზერვი
სავაჭრო მოთხოვნები			
გ) სავაჭრო მოთხოვნების დაზღვეული ნაშთები	43,748	0.00%	–
დ) სავაჭრო მოთხოვნების დაუზღვეველი ნაშთები			
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების მიმდინარე ნაშთები	13,863	1.00%	139
მსხვილი მომხმარებლები და დიდი ქსელები 30- ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	1,695	1.00%	17
მსხვილი მომხმარებლები 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	374	100.00%	374
სხვა მომხმარებლები			
- მიმდინარე	3,982	0.41%	16
- 30 დღემდე ვადაგადაცილებული	411	5.31%	22
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	65	18.78%	12
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	57	29.68%	17
- 90-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	48	38.44%	18
- 120 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	1,666	97.43%	1,623
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები, სულ (საბალანსო ღირებულება)	65,909		2,238

ჯგუფი მომხმარებლებზე გასცემს საკრედიტო ლიმიტებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ლიმიტის 47,047 ლარის (2023 წ.: 43,748 ლარი) ნაშთები დაზღვეულია შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანიის“ (ICIC) მიერ. მშობელ საწარმოსთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანია“ ჯგუფს აუნაზღაურებს დამზღვევი მომხმარებლის საკრედიტო ნაშთების 85%-ს, თუ ისინი უიმედო გახდება.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მოთხოვნები ერთი არადაკავშირებული კონტრაქტის მიმართ (ა)	770	3,290
სხვა ფინანსური მოთხოვნები	3,669	4,517
გადახდილი ავანსები	3,611	888
გამოკლებული მოსალოდნელი ზარალის რეზერვი	(894)	(3,290)
სხვა მოკლევადიანი აქტივები, სულ	7,156	5,405

(ა) მოთხოვნები უკავშირდება ერთ არადაკავშირებულ მხარეს, რომელიც სრულად იყო დარეზერვებული წინა წლებში. 2024 წელს გაუქმდა 2,520 ლარის რეზერვი და მოთხოვნები გაიქცითა ვალდებულებებთან (მე-14 შენიშვნა). 770 ლარის დარჩენილი თანხა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის დარეზერვებული.

8. სასესხო მოთხოვნები

სასესხო მოთხოვნების ნაშთის ცვლილების დინამიკა ასეთია:

	2024	2023
სასესხო მოთხოვნები 1 იანვრის მდგომარეობით	15	608
გაცემული სესხი (ა)	–	1,545
სესხის ძირითადი თანხის მიღება	–	(552)
საპროცენტო შემოსავალი	90	124
მოსალოდნელი ზარალის რეზერვის (დარიცხვა)/გაუქმება (21-ე შენიშვნა)	1,614	(1,614)
გადახდილი პროცენტი	(60)	(165)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	71	69
სესხის აღიარების შეწყვეტა უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრების შემდეგ (მე-4 შენიშვნა)	(1,730)	–
სასესხო მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	15

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ბანკის მიმდინარე ანგარიში	2,227	4,275
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	2,227	4,275

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებულ პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებს. 2024 წელს ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებზე მიღებული საპროცენტო შემოსავალი 50 ლარს შეადგენს (2023 წ.: 67 ლარი).

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1 ლარით.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფს არ გამოუცხადებია დივიდენდები (2023 წ.: გამოცხადებული და სრულად გადახდილი დივიდენდები 2,606 ლარის ოდენობით).

კაპიტალის სხვა რეზერვები უკავშირდება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობიდან ერთი პირის აქციებზე დაფუძნებულ გადახდებს, რომლებიც შეიძლება დაიფაროს მშობელი საწარმოს აქციებით (25-ე შენიშვნა). პირს გადაეცა 43,200 აქციის ოფციონი, რაც ვადის ამოწურვის შემდეგ იქცევა 43,200 აქციად უფლების მინიჭების წლიდან (2021 წ.) 4 წლის განმავლობაში (2-წლიანი უფლების გადაცემის პერიოდი 40%-ისთვის, 3 წელი – 40%-ისთვის და 4 წელი – 20%-ისთვის). ოფციონის აღსრულების საშუალო ფასები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 16.37 ისრაელის ახალი შეკელი. 2024 წლის 31 დეკემბრის აქციის ოფციონი გაუქმდა და ახალი სქემა ამოქმედდა 2024 წლის ნოემბრიდან (2023 წ.: 43,200 აქციის ოფციონი იყო გამოუყენებელი).

ახალი სქემა უკავშირდება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობიდან 9 პირის აქციებზე დაფუძნებულ გადახდებს, რომლებიც შეიძლება დაიფაროს მშობელი საწარმოს აქციებით (25-ე შენიშვნა). ამ პირებს გადაეცათ 64,225 აქცია უფლების მინიჭების წლიდან (2024 წ.) 4 წლის ვადით (2-წლიანი უფლების გადაცემის პერიოდი 40%-ისთვის, 3 წელი – 40%-ისთვის და 4 წელი – 20%-ისთვის). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 64,225 აქცია იყო მიმოქცევაში.

11. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხებისა და ნასესხები		
სახსრების მოკლევადიანი ნაწილი (ა)	3,546	8,641
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები და ნასესხები სახსრები (ბ)	41,751	32,178
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	45,297	40,819
მშობელი საწარმოსგან მიღებული გრძელვადიანი სესხები და ნასესხები სახსრები (ა)	7,815	5,887
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები და ნასესხები სახსრები (ბ)	4,389	5,590
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12,204	11,477
ნასესხები სახსრები, სულ	57,501	52,296

(ა) მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხები

ჯგუფი მშობელი საწარმოსგან სესხებს იღებს თავისი კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების დასაფინანსებლად. მშობელი საწარმოსგან სესხები გამოხატულია ევროში და დაფარვის ვადა ეწურება 2028 წლის აგვისტოში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ბ) ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები

ჯგუფი ქართული კომერციული ბანკებისგან იღებს ლარში გამოხატულ სესხებს თავისი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. ეს სესხები მოკლევადიანია და ერთ წელში უნდა დაიფაროს. 2023 წლის დეკემბერში ჯგუფმა ქართული კომერციული ბანკისგან მიიღო 6,715 ლარის ოდენობის გრძელვადიანი სესხი, რომლის ვადა 2028 წლის დეკემბერში იწურება, შვილობილ საწარმოში 51%-იანი წილის შეძენის მიზნით.

კომერციული ბანკების სესხები ექვემდებარება გარკვეულ ფინანსურ დათქმებს, კერძოდ, წმინდა საბრუნავი კაპიტალის შენარჩუნებას 18,000 ლარს ზემოთ, 140%-ზე მაღალ საპროცენტო ხარჯის დაფარვის კოეფიციენტს, 100%-ზე მაღალ სესხის მომსახურების კოეფიციენტს, 150%-ზე დაბალ სესხების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტს და 350%-ზე დაბალ ვალის EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტს (ვალი, მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხების გამოკლებით).

ყველა ამ დათქმის შესრულების შემოწმება ხდება 12-თვიანი ვადისთვის. მიმდინარე პერიოდში არ დარღვეულა სესხებისა და ნასესხები სახსრების ფინანსური პირობები. ჯგუფს არ აღენიშნება რამე ნიშნები იმისა, რომ გაუჭირდება ამ დათქმების შესრულება.

საკრედიტო ხაზების აუთვისებელი თანხა, რომელიც ახლო მომავალში ხელმისაწვდომი იქნება საოპერაციო საქმიანობისა და კაპიტალური დაბანდების ვალდებულებების დასაფარად, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 5,300 ლარს (2023 წ.: 6,100 ლარი).

საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივები მე-15 შენიშვნაშია განხილული.

საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ წარმოდგენილია საფინანსო საქმიანობიდან წარმომდგარი ვალდებულებების ანალიზი და ჯგუფის საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების ცვლილების დინამიკა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:

	2024	2023
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები		
1 იანვრის მდგომარეობით	52,296	33,708
ნასესხები სახსრები	166,713	220,620
საპროცენტო ხარჯი	5,766	5,044
სესხის ძირითადი თანხის შენატანები	(161,446)	(202,608)
გადახდილი პროცენტი	(5,624)	(5,035)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	(204)	567
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	57,501	52,296

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

12. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო ვალდებულებები არადაკავშირებული მხარეების წინაშე	6,404	14,600
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე (25-ე შენიშვნა)	3,276	2,166
სულ სავაჭრო ვალდებულებები	9,680	16,766

13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მიღებული ავანსები	376	–
დასაქმებულთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	3,627	4,151
საიჯარო ვალდებულება	2,373	2,818
სხვა საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	246	1,176
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ	6,622	8,145

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

	2024	2023
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	6,944	3,304
შემოსვლები	1,422	5,926
საპროცენტო განაკვეთის გაზრდა	557	397
ძირითადი თანხის გადახდა	(2,361)	(1,615)
პროცენტის გადახდა	(557)	(397)
აღიარების შეწყვეტა ხელშეკრულების გაუქმების გამო	(1,025)	(757)
საკუთროს სხვაობით განპირობებული შემოსულობა	145	86
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,125	6,944
მიმდინარე	2,373	2,818
გრძელვადიანი	2,752	4,126

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	2,527	2,089
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	557	397
საკუთროს სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა)	145	86
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	3,229	2,572

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. ანარიცხები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ანარიცხები გაყიდული საქონლის დაბრუნებისთვის (ა)	1,889	1,644
ანარიცხები გადასახდელი ჯარიმებისთვის (ბ)	–	1,251
სულ ანარიცხები	1,889	2,895

- (ა) ჯგუფი გაყიდული საქონლის დაბრუნებისთვის ანარიცხების ოდენობას აფასებს წარსული გამოცდილების და მოლოდინების გაანალიზების საფუძველზე.
- (ბ) 2022 წლის 4 ოქტომბერს ჯგუფს უჩივლა ერთმა კონტრაქტმა, რომელიც მოითხოვდა 3,771 ლარის გადახდას, 1,251 ლარის ჯარიმის ჩათვლით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ მომხმარებლისთვის გადასახდელი 2,520 ლარი აისახა სავაჭრო ვალდებულებების ნაშთში. 2024 წელს ჯგუფმა მოიგო სასამართლო საქმე, რის შედეგადაც გაუქმდა ჯარიმისთვის გათვალისწინებული 1,251 ლარის ანარიცხები. ამავდროულად, 2,520 ლარის ვალდებულება გაუქმდა და გაიქცითა ამავე კონტრაქტის მიმართ არსებულ მოთხოვნებთან (რომლებიც სრულად იყო დარეზერვებული).

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირია საქართველოს და ისრაელის საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღქმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კანონმდებლობისა და რეგულაციების მისეული აღქმა ადეკვატურია და რომ მას ადეკვატურად აქვს დეკლარირებული და აღრიცხული ყველა საგადასახადო რისკი.

დაგირავებული და შეზღუდული წვდომის აქტივები

ჯგუფს ქართული კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად შემდეგი აქტივები ჰქონდა გამოყენებული:

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
ძირითადი საშუალებები	3	22,037	12,991
მარაგები	5	19,472	21,507
სულ		41,509	34,498

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 9,907 ლარის ძირითადი საშუალებების გამოყენება შეიზღუდა ჯგუფის ერთ-ერთ კონტრაქტთან მიმდინარე დავის შედეგად (2023 წლის 31 დეკემბერი: 10,332 ლარი).

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად წარმოქმნილი პოტენციური ვალდებულებების შეფასება შეუძლებელია, მაგრამ მათ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

16. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2024	2023
- საყოფაცხოვრებო და თავის მოვლის საშუალებები	137,212	143,192
- საკვები და სასმელი პროდუქტები	108,012	115,482
- ამონაგები მომსახურებიდან (ა)	980	1,750
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, სულ	246,204	260,424

ა) 2022 წლიდან ჯგუფმა დაიწყო ლოგისტიკური მომსახურების გაწევა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი მაღაზიების ქსელისთვის.

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები:

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები (მე-6 შენიშვნა)	60,165	63,671

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებები.

17. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
- საყოფაცხოვრებო და თავის მოვლის საშუალებები	102,043	103,713
- საკვები და სასმელი პროდუქტები	81,020	84,661
- მომსახურების თვითღირებულება	749	1,121
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	183,812	189,495

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. სასაწყობო, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო დანახარჯები

	2024	2023
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	7,242	6,690
ცვეთა და ამორტიზაცია	2,439	2,023
საწვავი, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	1,212	1,043
შენახვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	1,843	1,563
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება	480	483
სხვა ხარჯები	673	825
სულ სასაწყობო, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო დანახარჯები	13,889	12,627

19. გაყიდვების და მარკეტინგის დანახარჯები

	2024	2023
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	15,663	14,242
რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება	2,404	8,893
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, საწვავი	2,085	2,087
ცვეთა და ამორტიზაცია	3,797	1,997
სხვა ხარჯები	1,353	1,216
სულ გაყიდვების და მარკეტინგის დანახარჯები	25,302	28,435

20. ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2024	2023
მართვის გასამრჯელო, საინფორმაციო ტექნოლოგიის დანახარჯები		
დაკავშირებული მხარეებისგან (25-ე შენიშვნა)	7,741	5,274
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	6,073	5,627
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	947	1,231
ოფისის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება და ადმინისტრირება	849	802
დაზღვევა	599	604
ცვეთა და ამორტიზაცია	424	416
სოციალური აქტივობები და სხვა ინიციატივები	359	703
მონაცემების დამუშავება და კომუნიკაცია	103	124
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,094	1,336
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18,189	16,117

ჯგუფის აუდიტორის გასამრჯელო 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 165 ლარს (დღგ-ის გარეშე) (2023 წ.: 150 ლარი) და ასახულია პროფესიული მომსახურების გასამრჯელოში.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21. საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილების დინამიკა ასეთია:

	სავაჭრო მოთხოვნები (მე-6 შენიშვნა)	სასესხო მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)	სხვა ფინანსური მოთხოვნები (მე-7 შენიშვნა)	სულ
1 იანვარი, 2023 წ.	2,236	–	3,290	5,526
პერიოდის დამატებითი დანარიცხები/(გაუქმება)	2	1,614	216	1,832
ჩამოწერები	–	–	(216)	(216)
31 დეკემბერი, 2023 წ.	2,238	1,614	3,290	7,142
პერიოდის დამატებითი დანარიცხები/(გაუქმება)	163	(1,614)	(2,396)	(3,847)
ჩამოწერები	(1,805)	–	–	(1,805)
31 დეკემბერი, 2024 წ.	596	–	894	1,490

22. ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი (მე-11 შენიშვნა)	5,766	5,044
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (მე-13 შენიშვნა)	557	397
სხვა	66	72
სულ ფინანსური დანახარჯები	6,389	5,513

23. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებაში. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ფუნქცია არის რისკის ლიმიტების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს თავისი საოპერაციო საქმიანობიდან (პირითადად, სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი აქტივები) და საფინანსო საქმიანობიდან, ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების ჩათვლით.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შეადგენს 65,937 ლარს (2023 წ.: 72,298 ლარი).

საკრედიტო რისკი ჯგუფის ბიზნესისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკია, ამიტომ ხელმძღვანელობა ამ რისკის მართვას სიფრთხილით ეკიდება.

სავაჭრო მოთხოვნები

საკრედიტო რისკის შეფასება, მისი მართვის მიზნით, კომპლექსური პროცესია და გულისხმობს მოდელების გამოყენებას, ვინაიდან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის გასვლის შესაბამისად. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება გულისხმობს დეფოლტების დადგომის ალბათობის, შესაბამისი ზარალიანობის კოეფიციენტების და კონტრაქტებს შორის დეფოლტის კორელაციების საფუძველიან განსაზღვრას.

გაუფასურების ანალიზი ტარდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანარიცხების მატრიცის გამოყენებით, რომლითაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. დარეზერვების ნორმები ეყრდნობა სხვადასხვა სეგმენტებად დაჯგუფებული, ზარალიანობის მსგავსი მაჩვენებლის მქონე, მომხმარებლებისთვის დადგენილ ვადაგადაცილებულ დღეებს. გაანგარიშება ასახავს საშუალო შეწონილ ალბათობას, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი წარსულში მომხდარი მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ. ზოგადად, სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება ერთ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში და იძულებითი აღსრულების ღონისძიებას არ ექვემდებარება.

ჯგუფი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც მზადაა მიიღოს კონტრაქტებზე ან კონტრაქტების ჯგუფზე ან ცალკეულ გეოგრაფიულ არეალზე თუ დარგობრივ სეგმენტზე. საკრედიტო რისკის დონეზე დაწესებული ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. ამ რისკების მონიტორინგი, პროდუქტების და დარგის მიხედვით, ხდება სისტემატურად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად, სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მზადდება რეგულარული ანგარიშები კლიენტის საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებლებთან ყოველგვარი მნიშვნელოვანი ურთიერთობა გადასამოწმებლად ეცნობება ხელმძღვანელობას. ჯგუფის ხელმძღვანელობა ეცნობა კონტრაქტების ფინანსურ შედეგებს და ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ლიმიტის 47,549 ლარის (2023 წ.: 44,968 ლარი) ნაშთები დაზღვეულია შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანიის“ (ICIC) მიერ. მშობელ საწარმოსთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანია“ ჯგუფს აუნაზღაურებს დამზღვევი მომხმარებლის საკრედიტო ნაშთების 85%-ს, თუ ისინი უიმედო გახდება.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარ მომხმარებლებში შედიოდა 10 კონტრაქტის (2023 წლის 31 დეკემბერი: 10 კონტრაქტის). ამ მომხმარებლების მთლიანი აგრეგირებული ნაშთი იყო 39,298 ლარი (2023 წ.: 44,229 ლარი), ანუ სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა მოკლევადიანი აქტივების მთლიანი თანხის 65% (2023 წ.: 69%).

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაზრები აქვს განთავსებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიციები (ა) სავალუტო და (ბ) საპროცენტო განაკვეთების და ვალდებულებების, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ჯგუფის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ ჯგუფს სესხები აღებული აქვს ევროში და, ამასთან საქონლის და მომსახურების შესყიდვები უცხოურ ვალუტაში ხდება. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე (გამოხატულია ლარში):

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ევრო	286	(14,573)	(14,287)
აშშ დოლარი	1,508	(7,434)	(5,926)
ლარი	64,143	(53,914)	10,229
სულ	65,937	(75,921)	(9,984)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ევრო	348	(16,165)	(15,817)
აშშ დოლარი	3,125	(9,734)	(6,609)
ლარი	68,825	(54,258)	14,567
სულ	72,298	(80,157)	(7,859)

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი სავალუტო კურსების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებებისადმი, ჯგუფის შესაბამისი საწარმოების სამუშაო ვალუტასთან შედარებით, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში:

2024	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება	გამყარება	გაუფასურება
ევრო	10.00%	(1,429)	1,429
აშშ დოლარი	10.00%	(593)	593

2023	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება	გამყარება	გაუფასურება
ევრო	10.00%	(1,582)	1,582
აშშ დოლარი	10.00%	(661)	661

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, რომლებსაც ჯგუფი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია: ჯგუფის დასაბეგრ მოგებაზე ცვალებადი განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები შემდეგ გავლენას ახდენს:

	საპროცენტო განაკვეთის ზრდა/შემცირება	გავლენა დასაბეგრ მოგებაზე
2024	10%/(10%)	(462)/462
2023	10%/(10%)	(438)/438

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს ჯგუფის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტებს.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, რაც მოიცავს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მთლიან ვალდებულებებს (მომავალი ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე). ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს.

როდესაც ვალდებულების ოდენობა ფიქსირებული არ არის, გასამჟღავნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესაბამისად. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)	6,404	3,276	–	–	9,680
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	4,249	–	–	–	4,249
ანარიცხები (მე-14 შენიშვნა)	1,889	–	–	–	1,889
საიჯარო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	255	509	1,977	3,038	5,779
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	3,562	1,738	43,063	13,657	62,020
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	16,359	5,523	45,040	16,695	83,617

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)	14,420	2,346	–	–	16,766
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	5,327	–	–	–	5,327
ანარიცხები (მე-14 შენიშვნა)	–	–	2,895	–	2,895
საიჯარო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	242	481	2,155	4,600	7,478
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	939	7,841	35,324	13,573	57,677
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	20,928	10,668	40,374	18,173	90,143

კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

24. სამართლიანი ღირებულებები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

- ▶ თუ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არის ლიკვიდური ან ხასიათდება ხანმოკლე (12 თვეზე ნაკლები) ვადით ან ფინანსურ ვალდებულებებს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, მიიჩნევა, რომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.
- ▶ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც გაცხადებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელი დონით არის შეფასებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

25. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ ან საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მშობელი საწარმოსგან ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	(11,361)	(14,528)
მშობელი საწარმოს მიერ მოწოდებული მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)	(3,264)	(2,166)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან ნაყიდი საქონელი	(137)	(728)

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯის მუხლები ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მშობელი საწარმოსთვის გადასახდელი საპროცენტო ხარჯი	(914)	(473)
მშობელი საწარმოს მიერ მოწოდებული მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ხარჯი (მე-20 შენიშვნა)	(7,741)	(5,274)

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

25. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

ხელმძღვანელობის ზედა რგოლში შედიან ჯგუფის დირექტორთა საბჭოს წევრები. ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2024		2023	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებუ- ლება	ხარჯი	დარიცხული ვალდებუ- ლება
მოკლევადიანი სარგებელი				
ხელფასები	2,843	–	2,411	–
მოკლევადიანი პრემიები	849	849	653	653
სხვა სარგებელი	658	–	635	–
აქციებზე დაფუძნებული გადახდები	108	–	108	–
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	4,458	849	3,807	653

მოკლევადიანი პრემიების სრულად ანაზღაურება უნდა მოხდეს თორმეტ თვეში იმ პერიოდის ბოლოდან, რომლის განმავლობაშიც ხელმძღვანელობამ შესაბამისი მომსახურება გასწია.

26. დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი:

	2024	2023
ასახული სასაწყობო, ლოგისტიკურ და სადისტრიბუციო დანახარჯებში (მე-18 შენიშვნა)	7,242	6,690
ასახული გაყიდვის და მარკეტინგის დანახარჯებში (მე-19 შენიშვნა)	15,663	14,242
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-20 შენიშვნა)	6,073	5,627
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი, სულ	28,978	26,559

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 1 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავიტარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

12 აგვისტო, 2025 წ

თბილისი, საქართველო


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 1 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავიტარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

12 აგვისტო, 2025 წ

თბილისი, საქართველო

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

2024 წ.

1. საწარმოს ბიზნესის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2008 წლის ივნისში და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს რეგულაციების მიხედვით და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 204557121.

2023 წლის ნოემბერში კომპანიამ შეიძინა 51%-იანი წილი შპს „Badagoni Story“-ში („შვილობილი საწარმო“). შვილობილი საწარმოს ძირითადი საქმიანობაა მარაგების ყიდვა შპს „ბადაგონისგან“ და პირდაპირ კომპანიისთვის მიყიდვა. შპს „ბადაგონი“ არის 2006 წელს დაფუძნებული, საქართველოში მოქმედი, კომპანია, რომელიც აწარმოებს ღვინოს და სხვა ალკოჰოლურ სასმელს. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ბადაგონი“ აკონტროლებს შვილობილი საწარმოს 49%-იან წილს. 2023 წლის განმავლობაში შვილობილმა საწარმომ შპს „ბადაგონისგან“ მიიღო ლიცენზია, რითაც მოიპოვა საქართველოს ტერიტორიაზე შპს „ბადაგონის“ ბრენდების წარმოების, მიწოდებისა და გაყიდვის ექსკლუზიური უფლება. შვილობილმა საწარმომ საქმიანობა 2024 წელს დაიწყო. კომპანია და შვილობილი საწარმო ქვემოთ ერთად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.


2024 წლის ნოემბერში კომპანიამ, თავის ისრაელში რეგისტრირებულ დაკავშირებულ მხარესთან – შპს „Storenext Israel“-თან ერთად, საქართველოში დაარეგისტრირა ერთობლივი ბიზნესი. კომპანია ახლად დაარეგისტრირებულ შპს „Storenext Georgia“-ში ფლობს 49%-იან წილს, ხოლო შპს „Storenext Israel“ – 51%-იანი წილის მფლობელია. რეგისტრაციის თარიღიდან ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე, ერთობლივ ბიზნესს საქმიანობა არ დაუწყია. კომპანია შპს „Storenext Georgia“-ს აღრიცხავს, როგორც თავის მეკავშირე საწარმოს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ნულის ტოლია.

კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო და 100%-ს მფლობელი არის დიპლომატ დისტრიბუტორი (1968), ისრაელში მდებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დიპლომატ დისტრიბუტორის (1968) საბოლოო მშობელი საწარმო არის შპს „დიპლომატ ჰოლდინგსი“. 2021 წლიდან შპს „დიპლომატ ჰოლდინგსი“ რეგისტრირებულია თელ-ავივის საფონდო ბირჟაზე.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის საკვები და სასმელი პროდუქტების, კოსმეტიკური, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური საშუალებების დისტრიბუცია და გაყიდვა საბითუმო ვაჭრობის დამოუკიდებელი ქსელის მეშვეობით. ჯგუფი არის პროექტერ ენდ გემბლის (P&G) პროდუქციის ექსკლუზიური და ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, სხვა არაექსკლუზიურ გამყიდველებთან ერთად, როგორიცაა ნესტლე და ადგილობრივი და საერთაშორისო ბრენდები.


როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს „დიპლომატ ჯორჯია“ ახდენს როგორც იმპორტირებულ, ისე ადგილობრივი პროდუქციის დისტრიბუციას.

ქვემოთ მოცემულია პროდუქციის შესყიდვების წილი (დღგ-ის გარეშე) 2024 წლისთვის, ძირითადი პროდუქციის დანაყოფებით:




რიცხვები ათას ლარშია მოცემული.

ქვემოთ მოცემულია პროდუქციის შესყიდვების წილი 2024 წლისთვის, პროდუქტების წარმოშობის მიხედვით:



ნესტლე ითვლება იმპორტირებული პროდუქტის ბრენდად, მიუხედავად იმისა, რომ მომწოდებელი ფუნქციონირებს ადგილობრივი ფილიალის მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულია გაყიდვებიდან შემოსავლის დინამიკა მარაგების კატეგორიების მიხედვით:



რიცხვები ათას ლარშია მოცემული.

2. ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმები:

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ და მისი შვილობილი საწარმო საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი დისტრიბუტორი ჯგუფია. ჯგუფს სამომავლოდ აქვს განვითარების ამბიციური გეგმები. ჯგუფი კონცენტრირებულია შემდეგზე:

- მომხმარებლებზე ორიენტირება.
- მოგებიანი გაყიდვების დაჩქარება
- მომწოდებლებზე/მომხმარებლებზე დამოკიდებულების შემცირება
- მომხმარებლის სტრატეგიის მხარდაჭერა
- ორგანიზაციული ეფექტურობა

ჯგუფის მიზანია შექმნას ღირებულება მომხმარებლისთვის და განავითაროს მიწოდების ჯაჭვი, რათა გახდეს მომხმარებლების სასურველი არჩევანი.

ჯგუფი ასევე მიზნად ისახავს გაყიდვებისა და დისტრიბუციის ინოვაციური გადაწყვეტების შემუშავებას, რათა გახდეს საქართველოს სწრაფად მოძრავი სამომხმარებლო საქონლის ბაზრის მთავარი მოთამაშე.

ჯგუფს აქვს ოთხი მთავარი ამოცანა, რომლებიც ემსახურება მის მიზანსა და ხედვას:

- ა) იყოს მომხმარებელზე ორიენტირებული;
- ბ) განავითაროს ბიზნესი დივერსიფიკაციაზე აქცენტით;
- გ) საოპერაციო ეფექტიანობა;
- დ) მოქნილი და ჩართული თანამშრომლები.

3. საწარმოს მიერ ჩატარებული კვლევა-განვითარების მიმოხილვა:

2024 წელს ჯგუფი არ იყო დაკავებული კვლევა-განვითარებით.

4. ინფორმაცია საწარმოს ფილიალების შესახებ

ჯგუფს ფილიალები აქვს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და საქმიანობას ეწევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ჯგუფის დისტრიბუციის მთავარი ცენტრი განთავსებულია თბილისის გარეუბანში. ასევე აქვს საწყობი/სადისტრიბუციო ცენტრი დასავლეთ საქართველოში, სამტრედიასა და კულაშში. ჯგუფს ასევე აქვს პატარა გაყიდვების ოფისები ბათუმში, გორსა და თელავში.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულია მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები. რიცხვები ათას ლარშია მოცემული.

#	ფინანსური მაჩვენებლები	2024	2023
1	ამონაგები	246,204	260,424
2	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(183,812)	(189,495)
3	საერთო მოგება	25.3%	27.2%
4	წმინდა მოგება	4,372	6,925
5	სულ აქტივები	130,588	131,892
6	სულ ვალდებულებები	78,444	84,228

რიცხვები ათას ლარშია მოცემული.

მთავარი არაფინანსური მაჩვენებლები:

#	არაფინანსური მაჩვენებლები	2024	2023
1	თანამშრომლების რაოდენობა	874	873

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი წილის შესყიდვის თაობაზე

2024 წელს ჯგუფს არ შეუსყიდა საკუთარი წილი.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების დამატებითი განმარტება

ქვემოთ მოცემულია განმარტებები ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებში მთავარი ცვლილებების შესახებ:

ამონაგები და საერთო მოგება — მთავარი კლიენტების მხრიდან უფრო ხელსაყრელი სავაჭრო პირობების მოთხოვნამ განაპირობა მოლაპარაკებების დროებითი შეფერხება, რამაც თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედა გაყიდვებზე და გამოიწვია საერთო მოგების შემცირება.

წმინდა მოგება — მიუხედავად იმისა, რომ საერთო მარჟა 9 მილიონით შემცირდა, ჩვენ მოვახერხეთ წმინდა მოგების კლების მინიმუმამდე — სულ რაღაც 1.3 მილიონამდე დაყვანა. ეს მივაღწიეთ საოპერაციო ხარჯების, მათ შორის სარეკლამო, სასაწყობო ხარჯებისა და მიწოდების დანახარჯების ოპტიმიზაციით.

8. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის მიმოხილვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქცია მართავს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებს (ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნა). ქვემოთ მიმოხილულია მთავარი რისკები, განუსაზღვრელობა და ხელმძღვანელობის შესაბამისი რეაგირება:

	რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება	ხელმძღვანელობის პასუხი
1	სავალუტო რისკი – ჯგუფს აქვს შემდეგი სავალუტო რისკი: ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ინფლაციის მაჩვენებლის შემდგომ ზრდას, რის შედეგადაც შემცირდება მომხმარებლის მსყიდველობითი უნარის უნარი; გარდა ამისა, ჯგუფს აქვს სესხები ევროში;	ჯგუფი ცდილობს ადგილობრივი წარმოების და იმპორტირებული ბრენდების არსებული პორტფელის გამრავალფეროვნებას, სავალუტო რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. გარდა ამისა, ჯგუფი ასევე ახდენს ადგილობრივი ბანკებისგან და მშობელი საწარმოსგან ადგილობრივ ვალუტაში მიღებული კრედიტების წყაროს დივერსიფიკაციას – რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.
2	ფულადი ნაკადების რისკი – ჯგუფის შემოსავალი ქართულ ლარშია, მაშინ, როდესაც დაფინანსების ნაწილი ევროშია; ჯგუფი თავის მომხმარებლებს უფრო მეტ საკრედიტო დღეებს აძლევს ვიდრე თვითონ იღებს თავისი მიმწოდებლებისგან.	ჯგუფი ადგენს ფულადი ნაკადების პროგნოზებს რამდენიმე თვით ადრე, რათა გაითვალისწინოს ფულადი სახსრების საჭიროება და გამოავლინოს ლიკვიდობასთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა. ვინაიდან ჯგუფი გლობალური ჯგუფის შვილობილია, დაფინანსების მოპოვება არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან მშობელ საწარმოს შეუძლია დააკმაყოფილოს ჯგუფის ნებისმიერი დაფინანსების მოთხოვნა. გარდა ამის, ჯგუფი ასევე იყენებს ადგილობრივი ბანკების საკრედიტო პროდუქტებს.

თამარ კოვზირიძე

გენერალური დირექტორი

ქეთი ბუგიანიშვილი

ფინანსური კონტროლის გუნდის ხელმძღვანელი

კომპანიის ბეჭედი

2025 წლის 12 აგვისტო

8. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის მიმოხილვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქცია მართავს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებს (ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნა). ქვემოთ მიმოხილულია მთავარი რისკები, განუსაზღვრელობა და ხელმძღვანელობის შესაბამისი რეაგირება:

	რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება	ხელმძღვანელობის პასუხი
1	სავალუტო რისკი – ჯგუფს აქვს შემდეგი სავალუტო რისკი: ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ინფლაციის მაჩვენებლის შემდგომ ზრდას, რის შედეგადაც შემცირდება მომხმარებლის მსყიდველობითი უნარის უნარი; გარდა ამისა, ჯგუფს აქვს სესხები ევროში;	ჯგუფი ცდილობს ადგილობრივი წარმოების და იმპორტირებული ბრენდების არსებული პორტფელის გამრავალფეროვნებას, სავალუტო რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. გარდა ამისა, ჯგუფი ასევე ახდენს ადგილობრივი ბანკებისგან და მშობელი საწარმოსგან ადგილობრივ ვალუტაში მიღებული კრედიტების წყაროს დივერსიფიკაციას – რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.
2	ფულადი ნაკადების რისკი – ჯგუფის შემოსავალი ქართულ ლარშია, მაშინ, როდესაც დაფინანსების ნაწილი ევროშია; ჯგუფი თავის მომხმარებლებს უფრო მეტ საკრედიტო დღეებს აძლევს ვიდრე თვითონ იღებს თავისი მიმწოდებლებისგან.	ჯგუფი ადგენს ფულადი ნაკადების პროგნოზებს რამდენიმე თვით ადრე, რათა გაითვალისწინოს ფულადი სახსრების საჭიროება და გამოავლინოს ლიკვიდობასთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა. ვინაიდან ჯგუფი გლობალური ჯგუფის შვილობილია, დაფინანსების მოპოვება არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან მშობელ საწარმოს შეუძლია დააკმაყოფილოს ჯგუფის ნებისმიერი დაფინანსების მოთხოვნა. გარდა ამის, ჯგუფი ასევე იყენებს ადგილობრივი ბანკების საკრედიტო პროდუქტებს.

თამარ კოვზირიძე

გენერალური დირექტორი

ქეთი ბუგიანიშვილი

ფინანსური კონტროლის გუნდის ხელმძღვანელი

კომპანიის ბეჭედი

2025 წლის 12 აგვისტო

